საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285401

№ 01-21/20

01 თებერვალი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტებს:
– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; – „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

09-01-08/13
01 02 2017
7

09-02-11/322
2 24
01 02

საბჭოს რეგლამენტის პროექტის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: 24 ფურცელი

პატივისცემით

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 4

7 თებერვალი2017 წ.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“; **(გამარტივებული წესით)**
2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნომენრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი *დავით გაბაიძე*	*უმაღლესი საბჭოს წევრი* *დავით გაბაიძე*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

01.02.2017 წელი	წამყვანი კომისია: 09,02,2017 წელი	რიგგარეშე სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის საკარაუდო თარიღი

კომისია რომლის დასკვნა საჭიროებულია

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე *დავით გაბაიძე*

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბიუროს გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით. სხდომის ოქმის ამონაწერი უმოკლეს ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ეგზავნება ფრაქციებს, კომისიებს და აპარატს.“.

2. მე-80 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა წამყვან კომისიას, სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, ასევე მთავრობას, და განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.“.

3. 141-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე მთავარ ბუღალტერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“.

4. 142-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედიან: დეპარტამენტები, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო, ბუღალტერია და კომისიების აპარატები, რომელთა შემადგენლობას, თანახმად დამტკიცებული საშტატო განრიგისა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და კომისიების აპარატების – შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის თანაშემწეს - შესაბამისი

უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს მომიჯნავე ფუნქციებისა და ერთი მიზნის მიღწევისაკენ ორიენტირებული თანამდებობების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებობის ნაცვლად მათ ერთიან სტრუქტურაში მოქცევას, რაც უფრო ხელსაყრელს და ეფექტურს გახდის ზოგადად უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. კერძოდ, მიზანშეწონილია აპარატის ორი სტრუქტურული ერთეულის პრესსამსახურისა და აპარატის ადმინისტრაციის ბაზაზე (გარდა აპარატის ადმინისტრაციაში შემავალი თანამდებობებისა: აპარატის უფროსი, აპარატის უფროსის მოადგილეები და აპარატის უფროსის თანაშემწე) ერთი დეპარტამენტის – საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის არსებობა. რაც შეეხება ახალ დეპარტამენტთან დაკავშირებულ რეგულაციებს, ისინი ასახვას ჰპოვებენ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ რამდენიმე კანონქვემდებარე აქტში, რომელიც რეგლამენტის ამ პროექტთან ერთად ერთიან საკანონმდებლო პაკეტში არის წარდგენილი.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, ცვლილებას განიცდის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 44-ე, მე-80, 141-ე და 142-ე მუხლები, საიდანაც ამოღებულ იქნება „აპარატის ადმინისტრაცია“ და „პრესსამსახური“.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 44

1. ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უმაღლეს საბჭოს ეცნობება უახლოეს პლენარულ სხდომაზე.

2. უმაღლეს საბჭოს შეუძლია გააუქმოს ბიუროს გადაწყვეტილება ან ცვლილება შეიტანოს მასში პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. (16.05.2013. #54)

3. ბიუროს გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით. სხდომის ოქმის ამონაწერი უმოკლეს ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ეგზავნება ფრაქციებს, კომისიებს და აპარატის ადმინისტრაციას. (27.02.2013. #36)

მუხლი 80 (16.05.2013. #54)

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს წარდგენილ კანონპროექტს. კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი. დაუშვებელია ბიუროს სხდომაზე განსახილველად იმ კანონპროექტის გატანა, რომელიც არ არის რეგისტრირებული უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში და რომელსაც არ ახლავს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნა.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს დარეგისტრირებისთანავე გადასცემს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნასთან ერთად და ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ბიუროს წევრებს გადასცემს ბიუროს სხდომამდე, როგორც წესი არაუგვიანეს წინა დღისა.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ამ რეგლამენტის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა და საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი;

გ) კანონპროექტის ავტორი;

დ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღი;

ე) წამყვანი კომისია;

ვ) კანონპროექტის კომისიის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;

ზ) სხვა კომისიები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;

თ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

4. ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე"–„თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „გ"–„ე" ქვეპუნქტებსა და მე-3-მე-7 პუნქტებთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, ბიურო უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს.

6. ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა წამყვან კომისიას, სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, ასევე მთავრობას. კანონპროექტი უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსების მიზნით ასევე გადაეცემა უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურს.

7. კანონპროექტი, რომელიც იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები - მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

მუხლი 141

1. უმაღლესი საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, ამ რეგლამენტის 48-ე მუხლის ,,თ" ქვეპუნქტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. (29.01.2013. #26)

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი.

3[1]. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის დაშვების საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. (28.01.2009. #28)

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტებისა და პრესსამსახურის ხელმძღვანელებს, ასევე მთავარ ბუღალტერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. (14.03.2013. #42)

5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინებით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. (29.01.2013. #26)

მუხლი 142

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედიან: აპარატის ადმინისტრაცია, დეპარტამენტები, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო, პრესსამსახური, ბუღალტერია და კომისიების აპარატები, რომელთა შემადგენლობას, თანახმად დამტკიცებული საშტატო განრიგისა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და კომისიების აპარატების – შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის თანაშემწეს - შესაბამისი უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი. (29.01.2013. #26)

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, შესაბამისი სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულის დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. (27.12.2012. #21)

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საბჭოს აპარატის უფროსი. (14.03.2013. #42)

6. უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაშვებია პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა. პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. (21.11.2007. #272)

7. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, კომისიების მოსაზრების გათვალისწინებით განსაზღვრავს აპარატის, მათ შორის კომისიების აპარატების შტატებს, მუშაკთა შრომის ანაზღაურებას, სამუშაო პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. (28.01.2009. #28)

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 28.12.2012, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320000.31.056.016026) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს;

2. დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების (დანართი №1):

ა) მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე მთავარ ბუღალტერს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“.

გ) მე-9 მუხლის:

გ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{1}) საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტი;“.

გ.გ) „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-11 მუხლი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-12 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-17 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^{1} მუხლი:

„მუხლი 17[1]

საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საზოგადოებისათვის, დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს ფუნქციის, საქმიანობისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) საზოგადოებაში უმაღლესი საბჭოს იმიჯის შექმნის ხელშეწყობა;

გ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში მაჟორიტარი უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;

დ) კონფერენციების, პრეზენტაციების, თემატური სემინარების, პრესტურების, გამოფენების, კონკურსების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;

ე) უმაღლესი საბჭოს ვებ-პორტალის თემატური წარმართვა და საინფორმაციო უზრუნველყოფა;

ვ) პრესრელიზების, მიმოხილვების, სტატიების, ბროშურების, ვიდეოპროდუქციის მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელება;

ზ) უმაღლეს საბჭოში ჟურნალისტთა ყოველწლიური აკრედიტება;

თ) უმაღლესი საბჭოს მიმდინარე საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ორგანიზება;

ი) საზოგადოებრივი ურთიერთობების პროექტების მომზადება და ინიცირება.

კ) უმაღლეს საბჭოში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა;

ლ) უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომების (სესიების) გაძღოლის კომპიუტერული სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

მ) უმაღლესი საბჭოს საქმიანობის კომპიუტერიზაციისა და ინფორმატიზაციის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებისათვის სათანადო პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ნ) უმაღლესი საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის განთავსება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე;

ო) უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

პ) უმაღლეს საბჭოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ დელეგაციათა და ცალკეულ პირთა მიღებისა და გამგზავრების უზრუნველყოფა სახელმწიფო პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად;

ჟ) უმაღლეს საბჭოს შიდა ღონისძიებების საპროტოკოლო მომსახურება;

რ) უმაღლეს საბჭოში სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზაციულ-პროგრამული უზრუნველყოფა;

ს) უმაღლესი საბჭოს წევრთა სავიზო-საპასპორტო მომსახურება;

ტ) უმაღლეს საბჭოში ოფიციალური შეხვედრების სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანის უზრუნველყოფა.“.

ზ) მე-18 მუხლი ამოღებულ იქნეს;

2. დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა (დანართი №2) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა

N	სტრუქტურული ერთეულის დასახელება
1	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი
2	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
3	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის აპარატი
4	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატი
5	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის აპარატი
6	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის აპარატი
7	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატი
8	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის აპარატი
9	იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი
10	საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
11	საერთო დეპარტამენტი (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის)
12	საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტი
13	ბუღალტერია“.

მუხლი 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსმა (რ. ბოლქვაძე) კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაცია.

მუხლი 3

1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
N

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილება, რომლითაც უქმდება უმაღლესი საბჭოს აპარატის 2 სტრუქტურული ერთეული.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებიდან ამოღებულ იქნება ის ნორმები, რომლებიც ეხება აპარატის ადმინისტრაციას და პრესსამსახურს. პროექტით იქმნება აპარატის ახალი სტრუქტურული ერთეული – საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეტარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანები იქნება:

ა) საზოგადოებისათვის, დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს ფუნქციის, საქმიანობისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) საზოგადოებაში უმაღლესი საბჭოს იმიჯის შექმნის ხელშეწყობა;

გ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში მაჟორიტარი უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;

დ) კონფერენციების, პრეზენტაციების, თემატური სემინარების, პრესტურების, გამოფენების, კონკურსების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;

ე) უმაღლესი საბჭოს ვებ-პორტალის თემატური წარმართვა და საინფორმაციო უზრუნველყოფა;

ვ) პრესრელიზების, მიმოხილვების, სტატიების, ბროშურების, ვიდეოპროდუქციის მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელება;

ზ) უმაღლეს საბჭოში ჟურნალისტთა ყოველწლიური აკრედიტება;

თ) უმაღლესი საბჭოს მიმდინარე საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ორგანიზება;

ი) საზოგადოებრივი ურთიერთობების პროექტების მომზადება და ინიცირება.

კ) უმაღლეს საბჭოში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა;

ლ) უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომების (სესიების) გაძღოლის კომპიუტერული სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

მ) უმაღლესი საბჭოს საქმიანობის კომპიუტერიზაციისა და ინფორმატიზაციის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებისათვის სათანადო პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ნ) უმაღლესი საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის განთავსება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე;

ო) უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

პ) უმაღლეს საბჭოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ დელეგაციათა და ცალკეულ პირთა მიღებისა და გამგზავრების უზრუნველყოფა სახელმწიფო პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად;

ჟ) უმაღლეს საბჭოს შიდა ღონისძიებების საპროტოკოლო მომსახურება;

რ) უმაღლეს საბჭოში სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზაციულ-პროგრამული უზრუნველყოფა;

ს) უმაღლესი საბჭოს წევრთა სავიზო-საპასპორტო მომსახურება;

ტ) უმაღლეს საბჭოში ოფიციალური შეხვედრების სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანის უზრუნველყოფა.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს სტრუქტურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელშიც ნაცვლად დღეს მოქმედი უმაღლესი საბჭოს აპარატის 14 სტრუქტურული ერთეულისა იქნება 13 სტრუქტურული ერთეული.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების იმ მუხლებისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურის მოქმედი რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო რიცხოვნობა 2013 წლის 1 თებერვლიდან განისაზღვროს 79 (სამოცდაცხრამეტი) საშტატო ერთეულით.

მუხლი 6

აპარატის თანამდებობის პირები არიან:

ა) აპარატის უფროსის მოადგილე;

ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი;

გ) აპარატის დეპარტამენტის უფროსი;

დ) პრესსამსახურის უფროსი;

ე) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;

ვ) კომისიის აპარატის უფროსი;

ზ) მთავარი ბუღალტერი;

თ) (ამოღებულია - 14.03.2013, №44-უ.ს.რ.ს.);

ი) განყოფილების უფროსი .

მუხლი 7

1. აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტებისა და პრესსამსახურის ხელმძღვანელებს, ასევე მთავარ ბუღალტერს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. აპარატის დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და აპარატის უფროსის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისათვის.

ბ) აპარატის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

გ) ხელს აწერს დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

დ) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს დაქვემდებარებულ საჯარო მოსამსახურეებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

ე) უფლებამოსილია დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) აპარატის უფროსს წარუდგენს საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების მიზნით;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9

აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) აპარატის ადმინისტრაცია;

ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო;

დ) საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი;

ე) იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი;

ვ) საერთო დეპარტამენტი (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის);

ზ) პრესსამსახური;

თ) უმაღლესი საბჭოს კომისიის აპარატი;

ი) ბუღალტერია.

მუხლი 11

აპარატის ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანებია:

ა) თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციების დახვედრა და მიღება, პროტოკოლით დადგენილი წესების თანახმად;

ბ) სტუმართათვის განკუთვნილი რეზიდენციის მომზადება;

გ) სტუმრებისა და მისი თანმხლები პირების ქალაქში ტრანსპორტირება, სასტუმროებში და რეზიდენციაში მათი დაბინავება;

დ) საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციასთან საუბრების, მოლაპარაკებების და ხელშეკრულებების ხელმოწერის ორგანიზება;

ე) აპარატის უფროსის საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 12

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების (ან პროექტების) მომზადება;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

დ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

ე) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოსული და გასული კორესპონდენციების მიღება-აღრიცხვა და შესრულებაზე კონტროლი;

ვ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამუშაო დღის დაგეგმვა და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;

ზ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებების ორგანიზება;

თ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;

ი) დელეგაციების დახვედრა და მიღება, პროტოკოლით დადგენილი წესების თანახმად;

კ) (ამოღებულია - 14.03.2013, №44-უ.ს.რ.ს.);

ლ) (ამოღებულია - 14.03.2013, №44-უ.ს.რ.ს.);

მ) (ამოღებულია - 14.03.2013, №44-უ.ს.რ.ს.);

ნ) (ამოღებულია - 14.03.2013, №44-უ.ს.რ.ს.);

ო) (ამოღებულია - 14.03.2013, №44-უ.ს.რ.ს.);

პ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულება.

მუხლი 18

პრესსამსახურის ამოცანებია:

ა) უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და საზოგადოებისათვის ოპერატიულად მოწოდება;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უმაღლესი საბჭოს კანონშემოქმედებით საქმიანობასა და პროგრამებში სამოქალაქო საზოგადოებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის მოადგილესთან, კომისიების თავმჯდომარეებთან, ფრაქციების თავმჯდომარეებთან და უმაღლესი საბჭოს წევრებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

დ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისა და უმაღლესი საბჭოს წევრების, ასევე უმაღლეს საბჭოში სტუმრად მყოფი (მათ შორის უცხოელი) ოფიციალური ვიზიტორების ინტერვიუების, ბრიფინგებისა და პრესკონფერენციების ორგანიზება;

ე) შიდა მომსახურებისათვის პრესანალიზების, ბიულეტენების, მიმოხილვების, სტატიების, ვიდეოპროდუქციის მომზადება აგრეთვე აუდიო-ვიდეო და ფოტომომსახურების უზრუნველყოფა, გამოქვეყნებული მასალების სიზუსტის დადგენა;

ვ) კონფერენციების, პრეზენტაციების, თემატური სემინარების და სხვა სპეციალური ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;

ზ) უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო მასალების მომზადება და უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდზე განთავსება;

თ) უმაღლესი საბჭოს სუბიექტების, აპარატის სტრუქტურული ერთეულების, შიდასაინფორმაციო ქსელითა და ინტერნეტით მომსახურება;

ი) ჟურნალისტებისათვის ოპერატიული დახმარების გაწევა უმაღლესი საბჭოდან ინფორმაციის ან კომენტარის მოსაპოვებლად;

კ) მოქალაქეებისათვის უშუალო სატელეფონო კონსულტაციის გაწევა, უმაღლესი საბჭოს რომელ კომისიას, ფრაქციას ან დეპარტამენტს მიმართონ მათთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად. პასუხობს მოქალაქეთა მიერ გაზეთისა და სხვა საშუალებებით დასმულ შეკითხვებს;

ლ) უმაღლესი საბჭოს რეიტინგის კვლევა;

მ) სატელევიზიო სპეცპროგრამების მომზადების ორგანიზება;

ნ) „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი და დაცული პრინციპების დაცვა და განხორციელება.

დანართი №2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა

N	სტრუქტურული ერთეულის დასახელება
1	უმაღლესი საბჭოს აპარატის ადმინისტრაცია
2	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი
3	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
4	აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის აპარატი
5	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატი
6	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის აპარატი
7	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის აპარატი
8	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატი
9	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის აპარატი
10	იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი
11	საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
12	საერთო დეპარტამენტი (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის)
13	პრესსამსახური
14	ბუღალტერია

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 19.11.2013, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320040.31.056.016038) დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. II თავის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თავი II. აპარატის ხელმძღვანელობა“.
ბ) მე-4 და 4[1] მუხლები ამოღებულ იქნეს;

2. XIII თავი ამოღებულ იქნეს;

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში და უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებასა და სტრუქტურაში შესატანი ცვლილებები, რომლითაც უქმდება უმაღლესი საბჭოს აპარატის 2 სტრუქტურული ერთეული.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით გათვალისწინებულია: – II თავის „აპარატის ადმინისტრაცია“ სათაურის ახალი რედაქციით „აპარატის ხელმძღვანელობა“ ჩამოყალიბება, ასევე ამავე თავიდან მე-4 და 4^1 მუხლების ამოღება; – XIII თავის პრესსამსახურის საჯარო მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამოღება.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების იმ მუხლების (თავების) მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

თავი II
აპარატის ადმინისტრაცია

მუხლი 2. აპარატის უფროსი

1. უმაღლესი განათლება (იურიდიული ან ეკონომიკური).
2. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.
3. ნორმატიული აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
გ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“.
4. უცხო ენის ცოდნა.

მუხლი 3. აპარატის უფროსის მოადგილე

1. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 4 წლის სტაჟი.
2. ნორმატიული აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“.

მუხლი 4. მთავარი სპეციალისტი (ქსელის ადმინისტრატორი)

1. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი.
2. კომპიუტერის ცოდნა (პროფესიონალურ დონეზე).

მუხლი 4[1]. წამყვანი სპეციალისტი

1. საჯარო სამსახურში ან / და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი .
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის ცოდნა .

თავი XIII
პრესსამსახური

მუხლი 50. პრესსამსახურის უფროსი

1. უმაღლესი განათლება (ჟურნალისტი).
2. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.
3. საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ცოდნა.

მუხლი 51. პრესსამსახურის უფროსი სპეციალისტი

1. უმაღლესი განათლება (ჟურნალისტი).
2. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.
3. საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ცოდნა.
4. უცხო ენის ცოდნა.

მუხლი 52. პრესსამსახურის უფროსი სპეციალისტი

1. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

2. საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ცოდნა.

მუხლი 53. პრესსამსახურის უფროსი სპეციალისტი

1. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის ცოდნა.

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 28.12.2012, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320000.31.056.016026) დამტკიცებულ „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეტარტამენტი. საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტში ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის პასუხისმგებელ პირს განსაზღვრავს დეპარტამენტის უფროსი.“.

2. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტს:

ა) ამ წესის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ე“–„თ“, „ი“–„მ“ და „ძ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი;

ბ) ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“, „დ“, „ნ“, „შ“ და „ჩ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი;

გ) ამ წესის მე-3 მუხლის „ო“–„რ“, „ტ“–„ფ“ და „ყ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის საერთო (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) დეპარტამენტი;

დ) ამ წესის მე-3 მუხლის „ს“, „ქ“, „ღ“ და „ც“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის ბუღალტერია.

2. საჯარო ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტს ვებგვერდზე განსათავსებლად PDF ფორმატში მიეწოდება.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
N

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილება, რომლითაც უქმდება უმაღლესი საბჭოს აპარატის 2 სტრუქტურული ერთეული.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მე-5 და მე-7 მუხლებში შედის ცვლილება, რომლითაც საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით ვებგვერდის ადმინისტრირებას განახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტი, ასევე ამავე დეპარტამენტს გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – დავით გაბაიძე.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 5

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს აპარატის ადმინისტრაცია. ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის პასუხისმგებელ პირს განსაზღვრავს აპარატის უფროსი.

მუხლი 7

1. აპარატის ადმინისტრაციას:

ა) ამ წესის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ე“–„თ“, „ი“–„მ“ და „ძ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი;

ბ) ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“, „დ“, „ნ“, „შ“ და „ჩ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი;

გ) ამ წესის მე-3 მუხლის „ო“–„რ“, „ტ“–„ფ“ და „ყ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის საერთო (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) დეპარტამენტი;

დ) ამ წესის მე-3 მუხლის „ს“, „ქ“, „ღ“ და „ც“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის ბუღალტერია.

2. საჯარო ინფორმაცია აპარატის ადმინისტრაციას ვებგვერდზე განსათავსებლად PDF ფორმატში მიეწოდება.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული
და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (0322) 28 54 33

№ 10-01-10/40

„03“ „თებერვალი“ 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

საკანონმდებლო პაკეტის – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის და მისგან გამომდინარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტების შესახებ

(ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა საკანონმდებლო პაკეტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი და მისგან გამომდინარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტები:

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი – რეგლამენტისა და დადგენილებების პროექტები შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტი
09-01-14/13
03 02 2017 წ.
1

მაია ხაჯიშვილი
03-02-11/343
03 02 2017 წ.